№ 20 გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას
თავისუფალ საქართველოში!
გაუმარჯოს საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკას!

ფასი 15 მანეთი

„თეატრი და ცხოვრება"

წლიურად 500 მან., ნახევარი წლით 300 მან. თითო ნომერი — 15 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის № 20 ქართ. ბეჭდვითი ამხ. სტამბაში, რუსთ. № 26 ფოსტით: თბილისი, რედაქცია „თეატრი და ცხოვრება" იოსებ იმედაშვილს.

ტელეფონი № 4—73.

დაარსების წელიწადი მეათე, გამოცემის მერვე

სათეატრო, სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და საზოგადოებრივ შინაარსის ყოველკვირეული ჟურნალი.

დაარსდა 1910 წ. კვირა, თიბათვის 6 გამოცემა 1920 წ.



მგოსანი ნოე ჩხიკვაძე (1883—1920)
(იხ. წერილი ამავე №-ში „ეიქრი საქართველოზე")

მგოსანი ი. გრიშაშვილი
მისი საღამოს გამო თიბათვის 10 სახელმწიფო თეატრში
(იხ. ამავე №-ში „სილამაზის მეფე")

სრულიად საქართველოს

სახალხო თეატრის მოღვაწეთა

ს ა ყ უ რ ა დ ღ ე ბ ო დ

სახალხო თეატრი ჩვენის ეროვნულ-კულტურულ აღორძინების ერთი მთავარი ბერკეტთაგანი შეიქმნა.

ყველა გრძნობს მის დიად მნიშვნელობას, და ამას მტკიცება არ უნდა: ჩვენის ქვეყნის რომელ კუთხეს აიღებო, რომ სცენის მოყვარეთა წრე, თეატრი ანუ სხვა რამ მსგავსი არ იყოს!..

სამწუხაროდ-კი ყველაზე მეტად სახალხო თეატრის მუშაკნი არიან მიკიწყებულნი. სახალხო თეატრს სათანადო ყურადღება არა აქვს მიქცეული და ბევრ ადგილას წარმოდგენები ალალბედად, შემთხვევით იმართება: ამ ხელოვნების სულ უბრალო, მარტივი მოთხოვნილებაც კი არ არის დაცული, ან უნიჭიერესნი ძალნი დაუდევრობით იფერფლებიან...

საჭიროა მჭიდრო კავშირი, ორგანიზაცია, რათა სახალხო თეატრმა ერთი გეგმით დაიწყოს მუშაობა და სათანადო დონემდე ამაღლდეს.

ამის თაობაზე არა ერთი და ორი წერილი დაიბეჭდა ჩვენს ჟურნალში.

მაგრამ, ლაპარაკით, ნაყე-ნაყეთი სიკეთე არ იქნება, საჭიროა მოქმედება, საქმიანობა.

ამ მოსაზრებით „თეატრი და ცხოვრება"-ს რედაქციამ განიზრახა ამ მოკლე ხანში მოიწვიოს სრულიად საქართველოს სახალხო თეატრის მოღვაწეთა კონფერენცია.

ამისათვის კი წინასწარი მასალების შეკრება და მზადებაა საჭირო.

ამიტომ საქართველოს ყველა კუთხის სახალხო თეატრის სცენის მოყვარეთა წრეებს, ჯგუფებსა და დრამატიულ საზოგადოებათა ვსთხოვთ დღეიდან ერთის თვის განმავლობაში გვაცნობონ:

1. სად როგორი სახის წრეა?
2. რავდენი წევრისაგან შესდგება?
3. მუდმივია სცენის მოყვარეთა შემადგენლობა, თუ შემთხვევითი?
4. როდის, რომელ წელს დაარსდა სცენა და წრე?
5. რა მიზნით იმართება წარმოდგენები და ხალხი როგორ უყურებს?
6. არის თუ არა სასცენო დარბაზი და სხვა მოწყობილება (დეკორაციები, ბუტაფორია, ტანისამოსი და სხ.)
7. როგორ რეპერტუარს აწარმოებენ და ხალხი როგორ პიესებს უფრო ეტანება?

ვამოიგზავნოს: თბილისი, ოდეაქია „თეატრი და ცხოვრება".

იოსებ იმედაშვილი



კიდევ თეატრი

ვინც ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს თვალყურს ადევნებს, ეჭვს გარეშეა, შეამჩნევდა, რომ ამ ბოლო ხანებში ძლიერ გაზარდა წუწუნი: ჩვენს თავისუფალ ქვეყანაში ქართული თეატრი ნელ ნელა, შეუმჩნევლად უკან მიდის და კვდებაო...

რამდენადაც მართალია ეს მოვლენა, იმდენადვე სამწუხაროა და სავალალო!..

მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყანა ორთავიან აორწევის კლანჭებით მოდუნებული და გაუკუღმართებული იყო, მაშინაც კი ქართ. თეატრი ერთად-ერთი დაწესებულება იყო. წმიდა ტრაპეზი, სადაც ქართველის სენდღისი მოთავსებულიყო. და აი, ამ თეატრის კარები დღეს გამოკეტილია... მისი მუშაკნი ილაჯ-გაწყვეტ-ნი „კიდელ-კიდელ ეყუდებიან შიშველისაგან".

მაგრამ, საბედნიეროდ, დრონი იცვალნენ... ასეთი უფერულობისა და უსიცოცხლობას დრო გაქრა, წავიდა, წარსულსა დაისაკუთრა... და დღეს ჩვენ ვიცით, რომ მთავრობა ყველაფერ საჭირო მასალას აძლევს დრამატ. საზის გამგეობას ქართ. დრამის გამოსაბრუნებლად და გასაძლოლად.

ქართველი საზოგადოება და ქართველი დემოკრატია დღეს თხოულობს ქართულ თეატრს, არა მარტო ფორმით. შინაარსითაც; არა მარტო გარეგნობით, სულითაც...

და ეს მათ უნდა მიეცეს...

თუ ამ საქმის მეთაურნი იქნებიან ერთსულოვნად, მჭიდროდ, საქმის სიყვარულით შეკავშირებულნი, ჩვენ დარწმუნებული ვართ, საქმე მკვიდრ ნიადაგზე დადგება და ქართველი საზოგადოებაც სიხაოულით შეხვდება იმ თეატრს, რომელიც შესძლებს ქართველი ცხოვრების მის თვალწინ გადაშლას.

მაშინ, როდეს ც ერის ეროვნობას მრავალი საშიში საფრთხე ბადესავით გარს შემოხვევია, უფრო მეტი ყურადღება სჭირია ისეთ ნაზს და საფრთხილო დაწესებულებას, როგორც თეატრია, რომელიც უდავო ჭეშმარიტებად უნდა იყოს აღიარებული ყველგან და ყველასაგან, რათა მტკიცედ მოიკიდოს ფეხი ჩვენს გულში.

ამისათვის ნიადაგი მზათაა!..

ვ—ე

ვამოსათხოვარი

(ძვირფას მეგობრის ნოე ჩხიკვაძის ხსოვნას)

ძმაო შენც თვალი დახუქე ძვირფას სამშობლოს მკლავზედა;
დაბნელდა, აღარ ანათებს შენი ვარსკვლავი ცაზედა.—
დამგლოვიარდა ბუნება, ეტირდა მწარე ხმაზედა!..

არასდროს შენ არ გიხილავს დღე ნათელი და მზიანი,
მაგრამ ვერა დროს ვერ განახე მწუხარე თვალცრემლიანი:
მარად ჯან-გაუტეხელი იყავი იმედიანი!..

მღეროდი, შენი ძახილი ცასა და მიწას სწვდებოდა...
თავს ევლებოდი საშობლოს, იწოდი. . სული გხდებოდა;—
ვაგლახ! რომ შენსა ტანჯვასა შენს მეტი ვერვინ ჰხვდებოდა!

ხალხს ენ უძღოდი მარადის, ეძახდი საბრძოლველადა:
ებრძოდი ბოროტებასა სიკეთის შესაქმნელადა!
მკოსანო! იფერფლებოდი სამოთხის საპოვნელადა

აჰა, დაიწვი კიდევაც, ანგს დაწყდენ ოქროს სიმები,
დადუმდა ბაგე მეტყველი — ჩაკვდა სივრცეში ეს ხმები,
მაგრამ უკვდავ ხარ მარადის, მუდამ უკვდავი იქნები!..

აპოლონ კულაშელი

ფიქრი საქართველოზე

VII

ნოე ჩხიკვაძის ხსოვნას

Онъ майскую пѣсню совсѣмъ недопѣлъ,
Чашу жизни не выпилъ до дна,
Оторвались цвѣты
И промчалась струна.

Галина

ქართულ ახალ პოეზიას გამოაკლდა ერთი საუკეთესო მისი წარმომადგენელი, ნიჭიერი პოეტი ნოე ჩხიკვაძე.

რა დიდი სევდის აღმძვრელია ეს სიტყვები და თავზარ დამცემია ყველა იმათთვის, ვისაც უყვარს და წარმოდგენილი აქვ', თუ რა დიდი განძ-ა ერის კულტურისათვის, მის სულიერ აღორძინებისათვის საზოგადოთ ლიტერატურა და კერძოთ კი პოეზია.

ნოე უტყუარი პოეტური ნიჭით იყო აღჭურვილი და თავისი დაუდგრომელი მღელვარე სულით და მშფოთვარ ტემპერამენტით ნამდვილი შემომქმედი, ნამდვილი პოეტი იყო, პოეტი ყოველ ზეგავლენას თუ ტენდენციას მოკლებული.

ის, თავისი ძლიერი მუზით ხან ქა ხანაში ჩაიქროლებდა და იქ მუშებს ჩასძახებდა:

„გაუმარჯოს მაშ შრომის ზეილს,
გაუმარჯოს ჩაგრულთ კერას!
გაუმარჯოს ვინც ყურს უგდებს
ჩვენს კიოლის და ჩვენს სიმღერას!

ხან კი „ცა ფირუზ ხმელეთ ზურმუხტ“ სამშობლო მთა-ბარს მოეკლებოდა და მისი ეშხით დამთვრალი აღტაცებით მოუწოდებდა, მაშინ ტყეში გავარდნილ ტარიელს და ავთანდილს მისს გამოსასხნელად.

ხან მის სულს სასოწარკვეთილების შავი ჩადრი მოეფინებოდა და მის გულის სირმიდან აღმოსკდებოდა სევდიანი სიმფონია:

„ვმღერი მარტო... კვნესის ჩანგი,
დნება ცრემლი ამ არეში
და ეს ცრემლი, სევდის ჰანგი
თან ჩამყვება სამარეში“.

მაგრამ ეს „სევდის ჰანგი“ მხოლოდ წუთიერი იყო. უფრო პოეტის პირადის ცხოვრებით გამოწვეული.

მას თან სდევდა სიღარიბე და გაჭირვება, მას ამ სოფლად პურიც აკლდა და ბევრი სხვა რამე და ამის ძებნაში კი მისი ნიჭი ვერ იშლებოდა, ვერ მაღლდებოდა სათანადო დონემდე.

გაიკლიდა .რა ეს ნაღვლიანი სულის კვეთება. დღიურ სიცხადით გამოწვეული, ის ისევ ბრძოლის ცეცხლით აღიგზნებოდა და მოუხმობდა სამშობლოს გმირებს:

„თავისუფლების არწივნო,
ლომგულნო მშობელ ერისა;
აღსდექთ მტერზედ, მსმინეთ
ხმა თქვენი აბჯართ ელერისა!“

ამას გაჰკიოდა ის სარეცელზედ, სიკვდილის პირს მყოფი. ის ამხნევებდა ჩვენს გმირებს, რომ:

„ერთობის ხატზედ ნაფიცთა
რას გვიზამს მტერი ვერანი?
ძლევისა ნიშნათ მაგვიძღვის
გიორგის თეთრი მერანი?“
და გაჰუტეკა ტანჯული სული...

საქართველოს გმირები აღსდგნენ და ფოლადისებრივი შეურყევლობით წინ აღუდგნენ ვერაგ მტერს და თავზარი დასცეს მას.

ნოეს უდიდესი ნატვრა და სურვილი განხორციელდა და ხორცი შეისხა.

საქართველოს მზე ეხლა უკრო კაშკაშებს. ეხლა უფრო ბრწყინავს მისი ბედის ვარსკვლავი.

მხოლოდ ამას ველარ სწვრეტს ნოე. არ დასცალდა მას და უდროოთ, ჯერ სულ ახალ-გაზრდა, სიცოცხლით აღსავსე მოწყდა წუთისოფელს.

მკვდრეთით აღმდგარ სამშობლოს და დემოკრატიას გამოეცალა ერთი მისი საუკეთესო შვილთაგანი მუშა-მგოსანი, მუშა-მოქალაქე და მუშა-მამულიშვილი.

მართლაც, რომ „ულვთო იყო მისი სიკვდილი“.

„Оторвались цвѣты
И промчалась струна“.

გრიშა კუნჭულია



ნოე ჩხიკვაძის საფლავზე

გლოვის ზარი ჩამორეკეს... და შენც მოგასვენეს!..
შავ საფლავის ღრმა პირზე კრძალვით დაგასვენეს!
ისე მოგრთეს ყვავილებით, როგორც პატარძალი...
და ამითი მოიხადეს თავიანთი ვალი...

როცა მწარე ყოფაში, ბეჩავს სული ეხდებოდა...
როცა ღარიბს, არ მქონეს პური გეწატრებოდა...
როცა შენი სხეული დღით-დღე იჟერფლებოდა, —
მაშინ შენი ღიღადი არვის ეყურებოდა!..

შაგრამ დღეს-კი, ძმობილო, ხედავ რო მოგიგონეს...
ვინ იყავი, რა იყავ—ეხლა ძლივს მოიგონეს!..
კარგი სიტყვა, თბილი სიტყვა, ცრემლად დაგაწვიმეს...
პატივი გცეს, საფლავამდის მოგყვენ, მოგაცილეს...

დღეს სუყველას შეებრალა შენი პატარები...
იგრძნეს, თითქმის, იმათი ყოფა განაწამები...
მაგრამ როცა საფლავში მიწას მიეფარები,—
მაშინ მათი ხსოვნიდან წაიშლები, გაქრები!..

გლოვის ზარი ჩამორეკეს... და შენც მოგასვენეს!..
შავ საფლავის, შავ კალთებზე კრძალვით დაგასვენეს,
ისე მოგრთეს ყვავილებით, როგორც პატარძალი,
და ამითი მოიხადეს თავიანთი ვალი... **დ. ჭანჭათელი**



„რუსული შაპკა“

ამბავი ქართველ მუსლიმანთა ცხოვრებიდან

I

ძალიან კარგი კაცია ახმედ-აღა... იგი მეტად ერთგულია თავის სჯულისა. დამცველია ძველი ფანატიკური მსოფლმხედველობისა. ყველა ერებზე მაღლა თათარს აყენებს და ყველა სჯულზე უკეთესად—ისლამს სთვლის. მოგწონს ახმედ-აღას სიმტკიცე, მისი გატაცებული სიყვარული თვის რწმენისადმი. იცის იმან, რომ მისი წინაპრები ქართველები იყვნენ და ამავე დროს ქრისტიანები.

ხანდახან ღამესაც კი უთევს ქართულ ნასაყდრალებს, სწირავს სანთელს, საკმეველს, მამალს, აღდგომის დროს ჩმარობს წითელ კვერცხს... მაგრამ რო ჰკითხო, თუ ის ვინ არის, გიპასუხებს: **თათარი**. ტყუილად შეეცდები დაუმტკიცო, რომ იგი ქართველია, სჯულით კი მუსლიმანი. მისთვის სჯული ერის აღმნიშვნელი სიტყვა არ არსებობს. ყოველი მაღიარებელი ისლამისა, მისი აზრით, თათარია.

ახმედ-აღა იმ დროს ქართველი მუსლიმანია, როდესაც აჭარა ქობულეთი თათრის ხელში იყო. ნამდვილი პანისლამისტია.

არა ნაკლებ კარგი კაცია მისი უფროსი შვილი ხასანი... ეს უკვე იმ დროს ქართველი მუსლიმანია, როდესაც ბათომი და მისი ოლქი საქართველოს დაუკავშირდა... ხასანი დიდხანს სცხოვრობდა ქართველ ქრისტიანეთა შორის და მათგან შეითვისა ბევრი კარგი აზრი, კარგი შეხედულება და ზოგიერთი ჩვეულება, რომელნიც ეწინააღმდეგებიან ისლამის მოძღვრებას. ხასანში გადატეხაა მოხდენილი. მისი თანაგრძნობა აშკარად ქართველ ქრისტიანებისაკენაა, მაგრამ ამას არ ამხელს, თითქოს მორცხვობს, გაბედულად ვერ იქცევა... მას სასკოლო ჰასაკის შვილებიც ჰყავს. ესმის სკოლის მნიშვნელობა და ენატრება, რომ მის სოფელში ქართული სკოლა გაიხსნას. მან, პირველმა, მოაწერა ხელი სკოლის გახსნის შესახებ შედგენილს განაჩენს .. ელის მოუთმენლად სკოლის გახსნას... სურს შვილები ჯერ სოფლის სკოლაში გაზარდოს, მერე გიმნაზიაში, შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში...

II

— მე შენთან ვეღარ ვიცხოვრებ. მოხუცი კაცი შეიბილწები. მე ცალკე ვიცხოვრებ ამას იქით: შენ შენდა, მე ჩემდა... ჩემო ხასან! შენ არა ხარ მართლმორწმუნე მუსლიმანი. შენ სჯულის წინააღმდეგ იქცევი. ღვინოს მიირთმევ...

— რისთვის, მამა, რა დავაშავე?!

— ის დააშავე. რომ შენი სახლი ქართულ სკოლას დაუთმე. ის დააშავე, რომ შენს სახლში ბინა მიეცი ქრისტიან მასწავლებელს... ის ჩაიდინე, რაც სჯულისგან აკრძალულია... მალე მუსლიმანი ბავშები გაქრისტიანდებიან, და ღვთის რისხვა ჩვენს თავზე დატრიალდება. ჩვენი მკვდრები საიქაოს წაწყდებიან. ხომ გახსოვს, რა იქადაგა ხოჯამ მეჩეთში?!

— მახსოვს, მამა ჩემო, მაგრამ არა მჯერა. არ მჯერა რომ ღმერთი გაგვიწყრეს იმის გამო, რომ ჩვენ ცოდნის შეძენა გვინდოდეს. რა ვიცი, მთელი ქვეყანა დღეს ქრისტიანების ხელშია. არ მჯერა, რომ ღმერთმა მკვდრები წაწყმიდოს ცოცხლების ცოდვებისთვის. თითოეული მკვდარი წაწყდება და ცხონდება იმის მიხედვით, თუ სიცოცხლის დროს როგორ იქცეოდა: ცუდად თუ კარგად.

— მე მეტს არას გეტყვი: შენ შენდა, მე ჩემდა! წავალ-და ცალკე ვიცხოვრებ. ვინ იცის, ეგეც შენი აზრი სჯობდეს ჩემსას?!.

III

ხასანის შვილმა უკვე დაამთავრა სასოფლო სკოლა. მამა უპირებს მისცეს გიმნაზიაში... იმ დროს რუსული გიმნაზია იყო.

ახმედ-აღას ჯავრით აღარ სძინავს. უნდა გააფრთხილოს თავისი შვილი, რომ რუსულ სკოლაში არ მისცეს ვაჟი.

კარგა ხანია ახმედ-აღა აღარ სწვევია თავის შვილს. ის მარტოდ მარტო ატარებდა თავის ცხოვრებას რამდენისამე წლის განმავლობაში. დღეს კი გაიგო საშინელი ამბავი, რომ მის შვილის შვილს უპირებენ რუსულ გიმნაზიაში მიცემას.

— ხასან! ერთი გაფრთხილებია კიდეე. შენს შვილს რუსული შაჰკა არ დაახურო, თორემ დიდად დაგსჯის ღმერთი!

ხასანი ღიმილით ხვდება ამ გაფრთხილებას.

შენ იღიმები და მე გულში ვტირი. ფესკას ჩვენი მართლმარწმუნე ფადიშაჰის ქუდს არ იხურავენ მუსლიმანი გიმნაზისტები, ეს მათ აუკრძალეს, რუსული შაპკის დახურვით კი სჯულის მოღალატეები ვიქნებიო.

—არა მჯერა, მამა ჩემო, არა მჯერა.

—მაშ, კარგი ორს ხოჯას დავეკითხები ამის შესახებ: ერთს ქობულეთში და ერთსაც შავშეთში. ორივე წმიდა ადამიანიანებად ითვლებიან. პირველი სტამბოლს მეორე კი შინაურად ნასწავლია... ვნახოთ ისინი, რას იტყვიან...თუ ისინიც მიღალატებენ, ჩემი ხელით სამარეს გავითხრი.

IV

ახმედ აღა ორი კვირის შემდეგ დაძმარებული ზის ქვაზე ლეღვის ხის ქვეშ და გარინდებით იცქირება ჩაქვის წყლის თვალ წარმატაც ხეობისაკენ, რომლის გასავალს ამშვენებს არა ნაკლებ თვალწარმტაცი კოხტად ამართული მეჩეთი თავისი ნახევარ მთვარით. ვინ იცის, რა ფიქრები უტრიალებს მოხუცებულ ახმედ-აღას ამ დროს... მას ცალი ფეხი სამარეში უდგია... მის სიკვდილის შემდეგ, ვის შეუძლია წარმოადგინოს, რა მოხდება მის სამშობლო სოფელში. ახმედ აღა თავის რწმუნებაში შეურაცხყოფილი დარჩა ორისავე ხოჯისაგან. ორივემ განუმარტეს მას, რომ რუსული შაპკის დახურვა ცოდვად არ ჩაითვლება, რომ სწავლის შეძენა კარგია. ამას თვით ალლახი გვიბრძანებსო.

ასეთს პასუხს ხოჯებისგან არ მოელოდა. მოტყუებული დარჩა. ხასანმა გაიმარჯვა... მამას რაღა დარჩენია იმის მეტი, რომ სთქვას შოთას სიტყვები, რომელნიც ხალხშია დაცული დღემდის... როცა ვინმე რასმეს შეეკითხება ახმედ აღას ახალ დროის შესახებ, ჯერ გულამოსკვნით ეტყვის:

„**მე როგორც მიწირავს, ისე ვწირავ.** და მერე მიაყოლებს:

„**რაცა ღმერთსა არა სწადდეს,**
არა საქმე არიქნების.
არ გარდავა გარდუვალად
მომავალი საქმე ზენა...
არვის ძალუძს ხორციელსა
განგებისა გარდავლენა.
მადლი უფალს: ესე იყო
წადილი და მისი ნება!"

ამ ღრმა აზროვანი სიტყვებით ინუგეშებს თავს ჩვენი ახმედ აღა...

ვუსურვოთ მას სამარემდის სულიერი მშვიდობა.

ხასანიც სრულიად თანახმაა მამის ამ აზრებისა და გულში წინასწარ თავისი მსოფლმხედველობის გამარჯვებას დღესასწაულობს და ცხადად ესმის, რომ ისტორიული ჩარხის უკუმა დატრიალება შეუძლებელია!

ილია ფერაძე

ქართული ხელოვნება

(დასასრული იხ. „თ. და ც.“ № 17)

თუ ქართული ხელოვნება თავის ისტორიის შარა გზაზე შემოაოგებელი იყო ორი კონტინენტის კულტურულ მისწრაფებათა, უკანასკნელ ხანებში ეგ ისტორიული მისია ჩამოერთვა მას. ქართველი ეროსთვის მძიმე გამოდგა უცხო გაბოროტებულ დოსტაქრის ოპერაცია. „ქართლის ბედის ტრაგიზმი, მისი უბედურება“ სწორედ აქ უნდა ვეძიოთ. ჩვენ მოვწყდით ჩვენს კულტურას. ჩვენს წარსულს. ჩვენთვის წარსულში დაგროვებული ღირებულებანი უცნობია. ძლიერ სამწუხარად უნდა ჩაითვალოს, რომ თანამედროვე კრიტიკა ჩვენს ახლობელ ლიტერატურას ვერ გასცილებია და სრულიად არ ცდილობს გონებით მაინც ამოავსოს ის ღრმა უფსკრული, რომელიც ხელოვნურად გათხრილია წარსულსა და აწმყოს შორის. ერის კულტურული წინსვლა კი სწორედ მაშინაა შესაძლო, როცა წარსულში დამზადებული ნაყოფი უაზროთ კი არ იხარჯება, არამედ ითვისება და ინელება. ესაა ძალთა ეკონომიზაცია—კაცობრიობის ევოლიუციის ქვაკუთხედი.

ქართველის ტრაღიკულმა მდგომაეობამ ჩვენის აზრით, უთუოდ უნდა დაჰბადოს იმის შეგნება, რომ მსოფლიო ფერხულში ჩაბმა სულის გამთელებას თხოულობს. დღეს გულუბრყვილო და უნიადაგო პატრიოტი თუ მოითხოვს ქართველის „უმანკოდ“ შენახვას. ღრმა სოციალურ პოლიტიკური ცვლილებანი ერისთვის გარდაუვალია,—ასეთი უმანკოება, დროა, აწი მაინც გამოვიტიროთ, რომელიც წარსულის რომანტიკამ გვიანდერძა;

იმან, იწუხოს ვისი ფიქრითაც „დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს“, ჩვენ კი სულ სხვა გვარ სულის გამთელებაზე ვლაპარაკობთ.

ხელოვნების მეცნიერებამ გვიჩვენა, რომ აზრების ეკონომიზაცია გიგანტიურის ნაბიჯით მიიწევს წინ, პოეზია, ჭეშმარიტი მხატვრული ტიპი აზრთა, ფიქრთა, გრძნობათა მორგვია. ავგაროზათ ვატარებთ მას ჩვენს სულის სიღრმეში.

გენიის წარმოსაშობად, როგორც სოციალური გარდატეხა—სოციალური პირობები, აგრეთვე წარსულსა და აწმყოს შორის—ნორმალური გაგებაა საჭირო. ეი, როგორ აგვიხსნის წარმოშობის მიზეზს ა. ლუნაჩარსკი (იხ. მისი „Мещанство и индивидуализмъ“ კრებულში „Діалогъ объ искусствѣ“) „საკაცობრიო შემოქმედების ყოველ დიად სკოლის ზრდაში ხდება წინასწარი მასალის დაგროვება, თავისებური ბუნდოვანი შეჯგუფებანი მოძრავ ცენტრით და ჯერ კიდევ გამოურკვეველ, უსახო პერიფერიებით, როცა საქმე მიდგება იმავ მასალის ფერადებში და მკვიდრ მატერიაში ჩამოსხმაზე, მრავალი ბრმა ხელოსანი ხელების ფათურით იკვლევს გზას, აცნობებს ერთმანეთს სხვადასხვა აღმოჩენას, სკდილობს თავისი შემოქმედების დროს ჩაწვდეს პოეზიის საერთო სტიქონს, რომლის გამოძახილს თავის გულშივე პოულობს. როგორც ქვემო ძაბრისებრი ნაწილი ტიფონისა (смерчъ) თანდათან ისახება მათი შემოქმედება კონცენტრიულ წრეებით გაოკეული ხელოვნებათ და პრინციპებათ; მათი შემოქმედება მიისწრაფვის ერთ დიად მთლიანობისაკენ, შედეგრისაკენ, რომელიც დასრულებული გამოხატულება იქნება იმ ფართო წრისა, კოლლექტიურ ფანტაზიის ზღვაზე, რომ გაიშალა და დამკვიდრება იწყო, მაგრამ რამდენადაც ბრწყინვალე არ იყოს ეს ნაწარმოები გენიისა, კოლლექტივი უცნობს არაფერს არ ხედავს ამ ქმნილებაში არამედ **თავისას,** მხოლოდ გადამუშავებულს, გარდაქმნილს, სინთეზად და ჰარმონიად ჩამოსხმულს გენიოსისა, ნორმალურ პირობებში, ქმნის სკოლას თავის მიმართულებისას.

თუ გენიოსის წინაპრებში, ხშირად, შეუმჩნეველად დარჩენილნი ფესვებათ, საფუძვლად ედებიან მას, მისი მომდევარნი,—ეს აყვავებული შტოებია მისი. და ეს იმიტომ, რომ შედეგრში მრავალი შესაძლებლობა არის დამარხული, რომლის განსახიერება, რა გინდ ძლიერიც არ იყოს იგი, ერთ პიროვნებას არ შეუძლია მობრუნებულ ძაბრივით ფართოოვდება ეს დასაბამი, ეს გენიალური ქმნილება და, მრავალი გზით მიდის ვრცელ ზღვაში, რომელიც ყველაფერს ასე ხარბად ნთქავს ცხოვრებისა და დედა-ხალხის შემოქმედებისათვის.“ და განა ამისთვის არ არის, რომ ჰამლეტი, დონ კიხოტი, ფაუსტი ჩვენი სულის ისტორიათ გვიჩვენება.

რამდენიმე სურათი და მთელი კაცობრიობა ჩვენს თვალწინ იშლება. ყოველი დიდი მხატვარი დიდი მოაზროვნეა—დიდი ფიქრთა აუზია.

ქართველთა სულის ისტორიაც ქართულს ხელოვნებაში უნდა ვეძიოთ. ჩვენ, ახალთაობამ მხოლოდ სახელები ვიცით ჩვენი ხელოვან ისტორიკოსთა; მათი შემოქმედება, მათი ლიტიული აღტყინება ჩვენთვის სრულიად გაუგებარია. მათი წრფელი ემოციები ჩვენთვის მკვდარია. რომ ყველა ეს ასე არ იყოს, ვინ იცის იქნებ ჩვენი დღევანდელი პოეზია მკვიდრ ნიადაგზე მდგარიყო და შედეგრიც კი წარმოშობილიყო. დღეს კი, როგორც ქვევით დავინახავთ, ჩვენი პოეზია ცივია და ეს სიცივე ეროვნულ-სოციალურ ჭრილობის შედეგია. ჩვენი მგოსნისთვის, როგორც კოლლექტივის ყველაზე უფრო მგრძნობიარე ელემენტისთვის, ჩვენი სულიერი კულტურა ნაკლებადაა გამოცნობილი, ისტორიული ინტუიცია კი ყველაში არ არის ძლიერი.

მართალი იყო ია ეკალაძე, როცა გულახდილად განუცხადა ერთ ახალგაზდა ჩვენს მგოსანთაგანს, რომ საქართველოს წარსულს მათ თვალში ფარდა აქვს ჩამოფარებული.

ყველა ზემოდ დასახელებულ მიზეზებს ის მოსდევს, რომ ძლიერი ნიჭით დაჯილდოვებული მგოსანი ერთი კალმის მოსმის შემდეგ სდუმს, თუ არა—ისევ ძველ ნათქვამს იმეორებს. ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ, რომ დიდი მგოსანი დიდი მოაზროვნეაო. აზროვნება მაშინ იქნება ძლიერი, თუ მგოსანმა ცხოვრება ან თეორეტიულად ან პრაქტიულად შეისწავლა, მაგრამ გარდა ამისა, საჭიროა ის ნორმალური გადასწავლა, წარსულის გაგება—შეგრძნება, რომელიც ერთ მთავარ ელემენტად შეიძლება ჩავთვალოთ ხელოვნების ფილოსოფიაში. პუშკინი გაეცნო ხალხურ პოეზიას, წარსულს, სიგელ-გუჯარებ,-ფრაგმენტებით—კარამზინით და ძლიერი ისტორიული ინტუიციით შეიარაღებული გახდა უდიდეს ბაზად რუსულ პოეზიისა.

გოგოლი წერილით სთხოვს დედას ყველა ზნე-ჩვეულებანი, ადათები, შემოსილობა მღვდელმსახურთაც აწეროს, და მიაწოდოს მას უკრაინელების ყოფაცხოვრებიდან.

გეტემ ისეთი საბუნებისმეტყველო კანონი აღმოაჩინა, რომელიც სპეციალისტებმა ათი წლის შემდეგ დაამტკიცეს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში შესამჩნევად გართულდა პოეზიის ტექნიკა – ლექსების ემოციური ღირებულება სუსტია, თანაც ზოგ შემთხვევაში ყალბი.

წარსულს მოწყვეტილი გული ქართული ხელოვნებისა სუსტად ფეთქს. ეს სისუსტე ეტყობა ყოველ კლასის ხელოვანს. იმიტაცია პიროვნებისა ძლიერია კლასიურ სოციალობაში, მაგრამ იმიტაცია პიროვნებისა, რომ დაჩაგრულ ერში ყველაზედ უფრო ძლიერია. ამას, ჩვენის აზრით, მტკიცება არ ესაჭიროება. ამ მოვლენას ჩვენს პოეზიაში და საერთოდ ხელოვნებაში ჩვენი პოეტებიც კი გრძნობენ.

შემდეგ წერილებში ჩვენ ვეცდებით ვამხილოთ ის საშინელი სურათი ჩვენის ხელოვნების და კერძოდ კი პოეზიისა, რომელიც გამოიწვია ჩვენში არსებულმა სოციალურ-პოლიტიკურ ატმოსფერამ და წარსულის გაუგებრობამ. აგრედვე ავღნიშნავთ იმ გზას სულის გამთელებისას, რომლისკენაც მიისწრაფვის ჩვენი ხელოვნება წინდაწინვე ვკრძნობთ, თუ რამდენად მძიმეა ეს მოვალეობა როგორც მკითხველის, ისე პირადათ ჩვენი „მე-ს წინაშე, მაგრამ ოკტიუსტკონტის თქმის არ იყოს, „სიკეთილამდე გამოცდილება შეგნებაა.“

პ. კეკელია



მ ო ბ ო ლ ე ბ ა

თამარა წერეთელი

დაბალი ტანის ქალწული, თეთრ სამოსელში, ყელზე კრიალოსანით დგას როიალთან.

თუ პირველად ხართ მის კონცერტზე, თავისთვის იტყვით:—ვინ არის ეს ბავშვი, ან რას ელის მისგან სავსე დარბაზი?!. მაგრამ... პროზოროვსკის ხელების ოსტატურ შეხებით ნაზად ახმაურდება როიალის კლავიშები და „პატარა, შავგვრემანი“ თამარა ხმას გააყოლებს...

გზიბლავთ ეს პატარა ქალწული!..

მის შესრულებაში გრძნობით მუსიკალობენ ჯერ კიდევ თავდაჭერილობით პოშური რომანსები.

ლამაზი ტემბრით თამარას პატარა ხმა სავსებით უახლოვდება რომანსების სულს.

თამარას მუსიკალურ პიროვნებაში ერთი დამახასიათებელი თვისება უნდა აღვნიშნოთ – ეს ყოველი რომანსის სასიცოცხლო ნერვის გაგება და მართალი განცდაში მისი გაშლა. თავის დაჭერა, სახის მეტყველების ახაზვა სტირის მუდამ ერთფერობაში. საჭირო სხვაობა არ არის დაცული საკმაოდ.

კრიალოსანი დახმარებას უწევდა თამარას ხელებს... მოვაცილოთ იგი და მაშინ რა იქნებოდა?..

ეს არის სუფთა მხარე ახალგაზდა მომღერალის.

ჩვენ კი გვინდა ხმის სასიამო გადმოცემასთან ჰარმონიული დაკავშირება ფიზიკური მოძრაობის, გარეგნულ მრავალსახიანობაში პოშური რომანსების ფერადი მომენტების ახაზვა.

ამისათვის სკოლაა საჭირო.

თამარა კი ჯერ მუშაობის დაწყებაში დგას.

პოშური რომანსების და თამარას სულს შორის ჩვენ უნდა ვნახოთ სრული იგივეობა.

ამას ის მიაღწევს, შეასრულებს.

ვისურვებდით—თამარა წერეთელი ჩვენთვის გახდეს ის, რაც ბაშაოინა ოუსკოთასთვისაა.

მათ შორის არის ცხადი ნათესაობა. **მ ღვამიჩავა**



წითელი გ ზაფხუ ი

ორი სურათი.

ზამთრისაგან დამზრალ ბუნებას წყნარად მისძინებოდა. მზემ ამოანათა და ფეიზელი თვალი ირგვლივ მიმოაცალო ქვეყანას: ღიმილით მიუალერსა, თითქოს ეუბნება:

—დროა, ნუ გძინავს, გაიღვიძეო.

ბუნებამ იგრძნო მშობლის ალერსი, იგრძნო მზის ცხოველი სითბო: თეთრი საბანი დინჯათ გადაიძრო, მზის ცხივებს მიეგება და სიხარულის ნაკადი თვალოგან წარმოსქდა.

მზემ იცნო საკვარელი შვილი, იცნო გაზაფხული.

ჰაბუკს სახე ამწკანებოდა, თვალი ოქროს სხივით ალად გაბრწყინვებოდა და სიცოცხლე-სიყვარულის ნიშნით ვარდ-ყვავილით დაემშვენებინა გულმკერდი. მზე კვლავ ეალერსებოდა, და ღიმილით უქარგავდა ოქროს სხივებინ გვირგვინს.

ლამაზი იყო ნზე, ლამაზი იყო გაზაფხული.

წარმტაცმა სილამაზემ ვარდის მგოსანს გაუღვია სიყვარულის გრძნობა. იგი მოფრინდა, აკენესდა, ამუსიკდა ჰანგებად ქცეული; ხმა მისი გაჰყვა მონარნარე ნიავს. ყვავილები გულდასმით უსმენდენ ვარდის მგოსანს. მოსწონდათ ბულბულის ხოტბა, მოსწონდათ დიდება ტურფა გაზაფხულისა.

II

ზამთრის სუსხით დამზრალ ქვეყანას შავად ჩასძინებოდა; ისმოდა გოდება, ოხვრა-კვნესა. თავისუფლების სხივმა ჭარბათ შემოანათა მშრომელთა კერაში. მიესალმა მაშვრალთ და ღიმილით გამოეხმაურა:

—აღსდექ, ნუ გძინავს!

ძილმიხდილმა გაიღვიძა, შავი სუდარა მსწრაფელ მოიშორა და მიეგება თავისუფლების სინათლის სხივებს. მზემ იცნო მაშვრალი, იცნო თავისუფლების მებაირახტრე ჰაბუკს ალის ფრათ სახე გაბრწინვოდა, გულმკერდი წითელი ვარდით შეემოსა და ოქროს გვირგვინის ნაცვლად წითელი დროშით დამშვენებულიყო.

აგიზგიზდა მშრომელთ ქურა, მის ალისფერს შავი ჯანყი მოშორდა. წითელი ფერი ნათლად გამოჩნდა ცეცხლის კოცონზედ. ცეცხლის ალისგან მზემ ოქროს სხივებით ამოქარგა იავარდის ფერი ახალი დროშა. მის წარმტაცმა სიდიადემ გაუღვიძა მგოსანს სიყვარულის გრძნობა. იგი ამღერდა, ამუსიკდა და საქართველოს კიდითკიდე გაჰყვა ხმა მისი; ცის ანგელოსნი გულდასმით ისმენდენ მგოსნის ხოტბას, ისმენდენ ჰიმნს ერის დიდებისას.

და აყვავებულს მამულს, მის იავარდს, თავისუფლების წითელმა სხივებმა მიუჩინა ცხოვანი მებაღე. იგი მას უვლის, სდარაჯობს და ოქროს ზაფხულის მოლოდინში აგვირგვინებს მომავლის დიდებას.

მუშა მიხა დეკაძე

მიხაკო სოლომონის ძე ურუშაძე

სოფ. ლიხაურის გურია) გვარდიის ხელმძღვანელი, ოსმალთა შემოსევის დროს აქ ბიურ მონაწილეობას იღებდა ბრძოლაში. ოსმალნი რომ გავიდნენ—ჩოლოქის პირზე ვერაგულად მოჰკლეს. რამაც საერთო მწუხარება გამოიწვია. მისი სიკვდილით გვარდიას ერთი საუკეთესო ძალა გამოაკლდა

მეორე შეხვედრა

უკვე ზემელის აფთიაქთან ვიყავი. შევჩერდი, არ ვიცოდი საიდ წავსულიყავი. უცებ მოსკოვის მოსახკევი სკენ მივიხედე. იქ რამოდენიმე კაცს თავი მოეყარა და რაღაცაზე ხმა მაღლა კამათობდენ.

ხუმრობის გუნებაზე ვიყავი და გადავწყვიტე, მეც მიმელო იმათ კამათში მონაწილეობა. ორ წუთში იმათთან გავჩნდი. მოკამათენი მუშები იყვენ. სხვადასხვა ეროვნების, წოდების და მიმართულების.

— მე ვამბობო, —უმტკიცებდა ამხანაგებს შავ-ყვითელა მუშა: დემოკრატიის ხსნა სოციალიზმშია და ეს სოციალიზმი საბჭოთა რუსეთშია. მიიხედ-მოიხედეთ, თვალები გაახილეთ და ყველაფერს დაინახავთ. რუსეთში და ადერბაიდჟანში სოციალიზმი უკვე დამყარდა. ეხლა ჩვენ საქართველოში დავამყაროთ სოციალიზმიო.

— სისულელეა, გააწყვეტინა თავ-ბელოტა მუშამ: ჩვენ კარგად ვიცით სად არის სოციალიზმი და სად არა. იქ, სადაც შენ სოციალიზმს უწოდებ, ყველაფერი დანგრეულ-განადგურებულია, აქ კი ყველაფერი რიგზეა და ჩვენი ინტერესებიც დაცულია. სწორედ აქ არის სოციალიზმი და არა იქ.

— მართალია, მართალი!—დაეთანხმენ თავ-ბელოტას დანარჩენი მუშები.

შავ-ყვითელა მუშა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, რადგან მომხრე არავინ აღმოუჩნდა.

ამ მდგომარეობიდან მე გამოვიყვანე. მისი მხარე დავიჭირე.

—სრულ ჭეშმარიტებას ამბობს ის ამხანაგი მეოქი, დავიწყე: საქართველო კონტრ-რევოლიუციონური და ბურჟუაზიული ქვეყანაა. ამხანაგმა სთქვა,—მიუთითე ხელი თავ-ბელოტას: იქ ყველაფერი განადგურებულია და ამიტომ სოციალიზმი არ იქნებაო. სცდება ამხანაგი. სწორედ იქ არის სოციალიზმი, სადაც ყველაფერი დანგრეულია. ჩვენში კი, ისევ ისეა, როგორიც ნიკოლოზის დროს იყო და კიდევ უფრო აშენებული. ვარდა გორისა, რომელიც დაინგრა მხოლოდ იმიტომ, რომ ახლო-მახლო ოსეთის პროლეტარიატი სცხოვრობს, რომელმაც თქვენ კარგად მოგეხსენებათ რამდენჯერმე დაამტკიცა თავისი სოციალისტობა მრავალ-გვარ თავის რევოლიუციონურ მოსვლებით დაამტკიცა.

კიდევ მინდოდა რაღაც მეთქვა, მაგრამ თავ-ბელოტამ არ დამაცალა და ერთი რუსულად შემომიკურთხა.

— ესეც სომეხი იქნებაო. მიუბრუნდა თავის ამხანაგებს. თქვენ, ყმაწვილებო წ ბრძანდით სომხეთში და იქ დაამყარეთ სოციალიზმი. თქვენი სოციალიზმი ჩვენ არ გვჭირია.

— იქ დღეს-თუ ხვალ დამყარდება სოციალიზმი, ვუპასუხე მე: სომხის ერს ისეთი პარტია უდგას სათავეში, რომელიც უკიდურესი მემარცხენეა და რომელსაც არ სჭიროა ს ვისი კარნახი. მან იცის რა დროს რა სთქვას და რა მოიმოქმედოს.

— სრული ჭეშმარიტებაა, დამეთანხმა შავ-ყვითელა და ორივე ხელი ჩამომართვა.

დანარჩენმა მუშებმა გულიანად გადიხარხარეს.

— შენ რა ქვიან? შემეკითხა შავ-ყვითელა.

— კარაპეტა. შენ?

— თოროზა.

— მართლა, კარაპეტ, ხვალ დილის 7 საათზე ამ ადგილას შემხვდი. შენთან მოსალაპარაკებელი საქმე მაქვს, — წამჩურჩულა თოროზამ და კიდევ რაღაც სომხურად მითხრა, რომელიც ვერ გავიგე.

— ლავ, ლავ თოროზ,—ვუპასუხე.

— არა, ერთი ეს მითხარით,—ცხარობდა თავ-ბელოტა: ესენი ვის ასწავლიან ჭკუას?

-- ვის და თქვენ—შეუყვირა თოროზამ. თქვენ ბურჟუაზია ხართ და ისეთი მთავრობაც გყავთ. თქვენში ორი ბურჟუაზია არის. ეროი არისტოკრატ-ბურჟუაზია, რომელსაც ეკუთვნიან თქვენი ჟორდანია, რამიშვილ-გეგეჭკორი და სხვები. მეორე აი ის ვაჭრები,—მიუთითა ხელი ბუტკაში ხილის მოვაჭრეზე.

თოროზას კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ მილიციონერმა არ დაიცალა, რომელიც ჩუმად მოგვა

მგოსანი ცვარნამი

ᲙᲝᲭᲚᲘ ᲡᲝᲜᲔᲢᲘ

წირვის დარეკეს და გაიხსნა გეტერას ფარდა,
ცელქი ნიმფები ატორტმანდენ დაჭრილ გედებად.
შვიდი მოისი, საუკუნე გაუჩინარდა!
და ჰკივის სული წინაპართა ცეცხლ მოკიდებით.
დიდი რუსთველი მობრძანდება ვეფხვით მხედარი,
ქართველი ერი გულს ჩაიკრავს ლექსთაკონებით.
უფსკრულში ხლაზნენით ჩაეშვება შავი ცხედარი,
მწუხარ მეფეებს აცილებენ უტყვი მონები.

ბეკა ძაღლივით მეც დავეძებ ვერჰარნის რითმებს,
სუფთა კბილებით გადავკოცნი სახეს მოარულს
და შემოვიხვევ ნაწნავების კისერზე თმებსა.

კოკი ებრალიძე

თფილისი—7/V—20

ᲒᲠᲘᲨᲐᲨᲕᲘᲚᲡ

ის ვინ იყო, ყავარჯენით რომ გააპო თეთრი ფონი:
თვით გავიდა და ტალღებში ამოაარჩო ფარაონი?!
ის ვინ იყო, მთის მწვერვალზე წმინდა ლოცვით მოქანცული,
ქვის ფიქალზე ამოჭკვეთა მცნება, ღმერთის მოცემული?!
ვინც რომ ნახა ბუჩქი ნაზი, როგორ სწვავდა ღმერთის
ცეცხლი,
ჩაიხედა და ამ ცეცხლის გულში ჰპოვა ანაოეკლი:
ღამით ღმერთმა ულესხოვრა სხივი ნაზი მომკიბარე,
დღისით ჩრდილი ნისლოვანი ფერჩკრთალი და მოუარნარე?
მოსე იყო, დიდი მოსე, ცის განგებით გადმოსული,
რომ დაეხსნა სატანეთში ერი ტანჯვით ფერ-წასული...
და შენც... და შენც, როგორც მოსე პოეზიისმ შფოთვარ
ზღვაზე,
ღმერთად შეჰქმენ შენი მუზა და სიცოცხლის სილამაზე,
სულს ფსალმუნად ედაფნება საელფერო შენი ხმები,
ლექსთა კრება ისე მზეობს, ვით სიონზე ჩირაღდნები;
შენი ლექსი აიკინძა მარგალიტის ნარნარ სხივად
და სამშობლომ უკვდავება გადაგადგა სხივ-გვირგვინად!..

ტასო რუსელი

პროფესორი აკ. გ. შანიძე

(ქართული ფილოლოგიის დოქტორის ხარისხის მოპოვების გამო)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის 1920 წ. 9 მაისის საჯარო სხდომის ოქმი

1920 წლის 9 მაისს ფაკულტეტის საჯარო სხდომაზე პაექრობა იყო პროფესორ აკაკი შანიძის გამოკვლევის „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“ გამო რომელიც წარმოდგენილ იქმნა საზოგადო ენათმეცნიერების დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ოფიციალურ ოპონენტად ფაკულტეტის მხრივ იყვნენ პროფესორი გ. ახვლედიანი და ივ. ჯავახიშვილი; პაექრობის შემდგომ, უნივერსიტეტის დებულების 24 მუხლის თანახმად, ფაკულტეტს მოელი შემადგენლობით ბჭობა ჰქონდა და დაადგინა: თხზულების დაცვა კმაყოფილებულად ჩაითვალოს და პროფესორი აკაკი შანიძე ენათმეცნიერების დოქტორის ხარისხის ღირსად ცნობილ იქნეს.

ფაკულტეტის ეს დადგენილება მოხსენდეს თბილისის უნივერსიტეტს პროფესორთა საბჭოს დამამტკიცებლად.

ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲘᲡ ᲛᲔᲤᲔ

გრიშაშვილი

უკანასკნელ ათეულ წლის განმავლობაში თუ ვისმეს შეეძლიან თავი გამოიდოს, ქართველის სილამაზის გრძნობას ვმეფობდეო, ამაში პირველთაგანი ი. გრიშაშვილია.

ქართული სიტყვის ჯადო-ოსტატი, სილამაზე-მშვენიერობის თილისმის გასაღები, მიჯნურთა სულისა და გულის უებრო მესაიდუმლე, — ეს გრიშაშვილი.

ახალ ჩვენს მგოსნებში ყველაზე უფრო მეტად გრიშაშვილი ეზიარა ნამდვილ ქართველურ— ეროვნულ სულს: მიჯნურობის გრძნობა ნაირ ფერადებით გაოდგვიშალა და მშვენიერობის მიყუჩებული გასცდა აგვიმეტყველა...

იგი რავდენად ზეადამიანურია, ზენაარი, იმდენად მიწიერი, თავისიანი...

და საქართველოს სულის მეტყველთა შორის გრიშაშვილს ფრიად საპატიო ადგილი უჭირავს.

ამას გრძნობს ქართველი საზოგადოება, ქართველი ხალხი და ღირსეულადაც აფასებს.

თიბათვის 10 სახელმწიფო თეატრში კიდევ ერთხელ გადიფურჩქნება მისი სული და დამსწრეთ მოაფენს კმასურნელებას.

ეს იქნება სილამაზის მეფის ლამაზი ზეიმი...

იოსებ არიმათიელი



არფა და გალია

და გვრიტი ჩიჩახე-გადაბერილი, კოხტა, ლაბუა, ფუტკრის თვალება,
გალიაშია დატყვევებული და სულს უტანჯავს უტყვი წვალება.

აი, მოფრინდა
ქედანი ნელად;
ჯერ გაირინდა,
შემდეგ კი მავთულს, —
მავთულს ყულფებზე ღრმად გადანაკვთულს, —
ებრძვის მიჯნურის გაჭოსახსნელად.

ვერ გაარღვია
ყვითელი რკინა
და დაიფრქვია
ცრემლები ბოლოს.
ეხ, აღარა სურს ტყვილად იბრძოლოს:
გაცვდა ნისკარტი. ფრთები ეტკინა.

ჩემო ლამაზო! როს აიფას უკრავ და სიმს ხელს ადებ იქით-აქედან:
არფა მაგონებს ოქროს გალიას და ეგ თითები ოო ლამაზ ქედანს.

ი. გრიშაშვილი

ელეონორა

(გაგრძელება. იხ „თ. და ც." № 18)

მოქმედება მეორე

(იგივე სცენა. სცენაზე ვახტანგი და ლევანია. ვახტანგი ღრმად დაფიქრებულია)

ლევ. მე ძლიერ მაწუხებს, ბ-ნო ვახტანგ, თქვენი ასე დასევდიანება.

ვახ. (ამოხვნეშით) სად არის ელეონორა?

ლევ. ხევის ფერდობზე ზის.

ვახ. რას შვრება?

ლევ. მწყემსის სიმღერას ისმენს.

ვახ. (გაიკლის. პაუზა) ჩემი ქალი ძლიერ გამოიცვალა.

ლევ. მეც ვატყობ.

მ. ნ. გერმანოვისა

ოუსული დრამ. დასის მსახიობქალი
(ქართულ ეროვნულ სამოსში)

ელენე ამირანიძისა

პროვინციის სახალხო თეატრის სცენის მოყვარე 10 წ. მოღვაწეობის შესრულების გამო

ვახ. აღარაფერი არ აღფრთოვანებს. ჩვეულებრივი უზრუნველყოფა არ ემჩნევა... მოუსვენროობს... პატარა მიზეზი საკმარისია აღელდეს.

ლევ. ყურადღება უნდა მიექცეს.

ვახ. ბევრი საკლავი შევწირე ხატებს, მაგრამ არაფერს შველის, მისგან კი ვერ გავიგე, თუ რითია ავად.

ლევ. ყველაზე პირველად მე ვიგრძენი, რომ ელეონორას ცვლილება დაეტყო. იქნებ ვისიმე ტრფობა სულს უშფოთებს, მაგრამ მის გულს ვერავინ მიეკარება. ძლიერ აღელვებს ასლან გირეის მოგონება.

ვახ. მართალია, ასლან გირეის ვერ იტანს, ეს იმისთვის, რომ ის ჩვენი მტერია.

ლევ. ასლან გირეი წინათაც ჩვენი მტერი იყო მაგრამ მისი მოგონება მას ასე არ აღელვებდა.

ვახ. არ ვიცი. მინდა მიზეზი მოვნახო, ყველაფერს ვცდი. (სიჩუმეა.) ლევან...

ლევ. რას მიბრძანებ.

ვახ. რომ გაგიჭირდეს ლეკებში ვერ გახვალ?

ლევ. რატომ არა. იქ ქმობილები მყავს, ფიქრი არაფრისა მაქვს

ვახ. მაშ ხვალ დილით წადი. ერთ ლეკს აქებენ, ამბობენ, ისისთანა ექიმი არ დაბადებულაო ეგები მოიყვანო.

ლევ. მოვიყვან, უეჭველად მოვიყვან. სახელი ხომ არ მოგეხსენებათ?

ვახ. მურთუზ ალიას ეძახიან.

ლევ. მურთუზ ალია ვიცნობ, ბ-ნო. ერთხელ დაჭრილი გახლდით, ის დამ ყ ნეს ეჭიმად და მომარჩინა. დალოცვილი მ.რჯვენა აქვს.

ვახ. როგორ?

ლევ. როცა ჭრილობას მიხვევდა, ტკივილებს არ ვგრძნობდი.

ვახ. კარგი ხელი ჰქონია.

ლევ. კარგი, კარგი, ბ-ნო.

ვახ. ეგების იმან არგოს რამე, ჩემს ქალს, თორემ ღმერთმა იცოდეს მოსვენება არა მაქვს... მკითხავებთან სად არ ვიყავი, მაგრამ მაგის გამობრუნება აღარ იქნა.

ლევ. ნუ შეწუხდებით, ბ-ნო! ღმერთი მოწყალეა, კარგად იქნება.

ვახ. ჩვენ კი ჩვენი დაგვემართა და.

ლევ. (იხედება სარკმლისკენ) ელეონორა მოდის.

ვახ. აქეთ?

ლევ. დიაღ...

(ლევანი გადის. შემოდის ელეონორა, მწუხარე სახე აქვს; ვახტანგი მიეგებება და შუბლზე აკოცებს)

ვახ. ელეონორა, ჩემო ნუგეშო, როგორა ხარ?

ელ. მოუსვენრად... ღამე არ მძინავს.

ვახ. რა მოგდის, ჩემო სიცოცხლევ, რა გიკრთობს ძილს.

ელ. ავად ვარ, მამა,

ვახ. რა გაწუხებს, შვილო რა გტკივა?

ელ. არ ვიცი

ვახ. ლევანს უთხარი ლეკებში გადავიდეს და...

ელ. (აწყვეტინებს) ლეკებში?

ვახ. იქ ცნობილი ექიმი ყოფილა

ელ. (აღელვებით) დაუძახე! ეხლავ დაუძახე... დაუძახე მეთქი

ვახ. დაუძახებ, შკილო, ნუ ღელავ.

ელ. მე არ მინდა ლეკების სახელი გავიგონო. მე მათი მოგონება გონებაზე მრევს.

ვახ. (იძახის) ლევან, აქ მოდი. (ლევანი შემოდის)

ლევ. რას გვიბრძანებ?

ვახ. ლეკებში ნუღარ წახვალ. ელეონორა წინააღმდეგია.

ელ. არ წახვიდე გესმის, მე არ მინდა. ლეკები ჩვენი მტერია, იმათზე შური ,ენდა ვიძიოთ.

ვახ. უკანასკნელად, შვილო, ისინი ჩვენზე სამტროდ არ მოდიან. ასლან გირეი...

ელ. (აწყვეტინებს) ასლან გირეი გარყვნილია. არა, ის ჩვენ დავიმორჩილოთ. მე მინდა, ასლან გირეი იქ არ იმყოფებოდეს. გახსოვს ასლანი აქ რომ იყო, ურცხვად ღამით გაიპარა, მტრულად.

ვახ. მახსოვს, შვილო.

ლევ მე ვატყობდი და ვდარაჯობდი, მაგრამ თქვენ დამიშალეთ, ელეონორა!

ელ. გასწი, მე დარაჯი არ მჭირდება. ვესმის გასწი, არ მომეკარო! (ლევანი გადის)

ვახ. რა გემართება, შვილო?

ელ. როგორ? როგორ.. დიაღ შეურაცხყოფა .. ღამით გაიპარა, გულში ბოროტება ჰქონდა.

ვახ. მერე რა დაგვაკლო, შვილო?

ელ. რა დაგვაკლ ?? მე სული მოშფოთავს, რომ თავ მოყვარეობა შემელახა: ასლან გირეი თავხედათ მოიქცა. შეიძლება მ.ს უნდოდა ჩემს საწოლში შემოსვლა, შეიძლება მას უნდოდა... (ღელავს)

ვახ. რას ამბობ, შვილო, როგორ გაბედავდა!

ელ. ის ბოროტი იყო. ღ.ბით ქურდულად დატოვა ჩვენი ოჯახი. ნ ,თუ ასეთ საქციელში ვერაფერს ხედავთ?

ვახ. თავისი პირი შეირცხვინა, მასპინძლების დაუმშვიდობებლად წავიდა.

ელ. არაფრად ჩაგვაგდო და ეს უნდა ვაპატიოთ მას?

ვახ. კარგი, შვილო, მას შემდეგ დრო გავიდა, არ ღირს მოსაგონებლად.

ელ. მე კიდევ მახსოვს... აი, იქ, იმ მაღალ მთებზე მისი საბუდარია. მე მინდა ის დაინგრეს, განადგურდეს! ჩვენ იგი ძილს გვიფრთხობს; მე ვერ ვიტან, როცა წარმოვიდგენ, რომ იქ ჩვენი მტერი ბუდობს.

ვახ. დამშვიდდი, შვილო!

ელ. (შფოთავს.) მე წავალ, მოვისვენებ. ძილში ის მთები მომელანდება, ის უნდა განადგურდეს... განადგურდეს (გადის. შემოდის ლევანი)

ვახ. ღმერთო, თანდათანობით უარესად ხდება

ლევ. ბ-ნო ვახტანგ, ვიღაცა ლეკი გახლავთ, თქვენი ნახვა სურს.

ვახ. ლეკი?! უთხარი მოვიდეს. (ლევანი გადის და შემოჰყავს ისმაილ. პაუზა)

ისმ. სალამი.

ვახ. (მიესალმება) შენი სახე თითქოს მაგონდება.

ისმ. იყო დრო თქვენს ჭერქვეშ პურმარილი მივიღე. ასლან გირეის ვახლდი.

ვახ. მახსოვს, ჩამოჯექი, საქმე გექნება?.. გისმენთ.

ისმ. ვახტანგ... კარგად იცი, რომ ჩვენი კაცი შორი მთებიდან უსაქმოდ არ გადმოვიდოდა. დიდხანს სიჩუმეში და გაუგებრობაში ყოფნა შენც შეგაწუხებს და ჩვენც... ღვთის მადლმა! შენს სახლში კაცს ერთი წლის ყოფნაც არ მოსწყინდება, მაგრამ საქმეს გათავება უნდა.

ვახ. ეგრე ლაპარაკი იმას ხომ არ ამტკიცებს, რომ რიგზე ვერ დაგხვდით და დროზე ვერ გავიმასპინძლდი. იქნებ ჩვენთან ყოფნა მოგეწყინათ.

ისმ. შენი პურმარილის ხმა შორს არის განთქმული, შენი მასპინძლობა კაცს დროს ავიწყებს, მაგრამ საჩქარო საქმეს დროზე გარიგება უნდა.

ვახ. სჩანს, რადაც მძიმე საქმე უნდა იყოს.

ისმ. ძნელი საქმეა, ვახტანგ, მაგრამ მეტი ღონე არ არ ის! თქმა მიჭირს და სიჩუმე კი არ შემიძლია.

ვახ. მითხარი. ყური თქვენსკენ მაქვს მოპყრობილი.

ისმ. ასლან გირეის იცნობ?

ვახ. ასლან გირეი გამოჩენილი ვაჟკაცია. იმისი სახელი შორს არის გავარდნილი. ასლან გირეის ვინ არ იცნობს!

ისმ. სახელის გარდა შეძლებაც კარგი აქვს და გვარიშვილობაც.

ვახ. ეგეც ვიცი.

ისმ. ყმაწვილია წარმოსადეგი.

ვახ. შევარდენს გავს.

ისმ. არაფერში დასაწუნი არ არის.

ახ. მართალს ამბობთ.

ისმ. მაშ მოდი და შენი ქალი მიეცი.

ვახ. (გაკვირვებული წამოვარდება ზეზე) რაო? ასლან გირეი—ქალსა მთხოვს?!

ისმ. რად გაგიკვირდათ?

ვახ. იმიტომ, რომ ჩვენ სულ სხვადასხვა სარწმუნოებისანი ვართ. თქვენი რჯული სარწმუნოების გამოცვლის ნებას არ გვაძლევს. და თუნდ ეგეც არ იყოს, ჩემს ქალს ასე შორს როგორ გავათხოვებ? მე მაგის მეტი არა მყავს.

ისმ სიყვარული სარწმუნოებას არ უყურებს.—ასლან გირეის უყვარს შენი ქალი და უნდა მისცე. თუ შენი ქალი თანაუგრძნობს (როცა ამ ლაპარაკს ლევანი ისმენს, მის ბუნებაში საშინელი ცვლილება ხდება. დადის, ყოველი სიტყვები ისმაილის მომწამვლელ ისრად ხვდება)

ვახ. (მტკიცედ) არა, ასლან გირეის ქალს არ მივცემ. სტუმრად მობრძანებულხარ ჩემთან, დიდი მოხარული ვარ. სტუმარი ღვთისაა! ისიამოვნეთ, იმხიარულეთ! ჭირმა მომიკლას ის საქონელი, რომელიც თქვენთვის დასაკლავად დავიშურო; დამიძმარდეს ის ქვევრის ღვინო, რომელიც სტუმრისთვის არ მსურდეს! ბრძანდებოდეთ აქ, სანამ ჩვენი ჭვარტლიანი ჭერი არ მოგწყინდეს; მხოლოდ ჩემი ქალის თხოვნას თავი დაანებეთ, ეგ არ მოხდება! არ იქნება! და უბრალოდ ერთმანეთის თავს შეავწუხებთ.

ისმ. შენს ქალს რომ უყვარდეს, მაშინ რაღას იზამთ?

ვახ. ჩემს ქალს რომ უყვარდეს, რომ დამიჭლექდეს, რომ მომიკვდეს კიდეც, ლეკს მაინც არ მივათხოვებ.

ისმ. ლეკს არა? (პაუზა) რა მიზეზია?

ვახ. მიზეზი ის არის, რომ ლეკი სხვა სარწმუნოებისაა, სხვა თემისა და სხვა მიწა-წყლისა.

ისმ. ვახტანგ ნუ აჩქარდები... ასლან-გირეი განთქმული ვაჟკაცია, გაბედული და სიყვარულს კი თავდავიწყებამდი მიუყვანია.

ვახ. მაშინებთ? (წარბს შეიკრავს)

ისმ. არა, მაგრამ უსიამოვნება არ გვინდა და არც კარგი არის. ასლან გირეის შენი ქალი მეტად მოსწონს, მეტად უყვარს და ეგრე ადვილად თავს არ დაანებებს.

ვახ ნუ დაანებებს, ძალით დავანებებ ნებ თავს.

ისმ. რომ მოიტაცოს?

ვახ. (ხანჯალზე ხელს დაიდებს) მაგასაც ვნახავთ!

ისმ. ვახტანგ, ჭკვიანი კაცი ხარ, მოიფიქრე, კარგად მოიფიქრე!

ვახ. ეჰ, ეჰ, სტუმარო! ჩემი ჩაღმეთი ისე არ წამხდარა, რომ აქედან ლეკებმა კ-ლი გამტაცონ.

ისმ. მაშ სისხლი დაიღვრება!

ვახ. რა მენაღვლება! თუ სისხლი ვისმეს მოსჭარბებია, გამოუშვებთ. (ისმაილი ვახტანგს მიაჩერდება, სახის გამომეტყველებაზე ეტყობა, რომ ვახტანგის გმირული და ამაყი ქცევა ძოსჭონს)

ისმ. სიმტკიცე შენი დაამტკიცე! ხელი შენი გმირობისა, მაგრამ სისხლს უნდა ერიდო.

ვახ. მაშ აქამდინ სად იყო, თუ ჩემი ქალის მოტაცება უნდოდა?

ისმ. აქამდინ მთები შეკრული იყო. ასლან გირეი როგორც დათვი ყაფაზაში, ისე მთების იქით მოწყვდეული იყო; ეხლა გზაფხულდა, გზები გაიხსნა და ასლან გირეის დიდი ჯარის შეკრება შეუძლია.

ვახ. კარგი, სტუმარო: წელს პირ აქეთ არ გადმოვიდეს, თორემ ვფიცავ, ცოცხალი ვეღარ წავა!

ისმ. მე წავალ, ვახტანგ, მაგრამ უბრალო სისხლი დღეგრის მიზეზი შენ იქნები. დაფიქრდი, შესაფერი რა მოისაზრე.

ვახტ. ჩემი პირველი სიტყვა ურყევია.

ისმ. ნახვამდინ.

ვახტ. გზა მშვიდობისა, სტუმარო! (გადის ისმაილი გაჰყვება, ცოტა ხნის შემდეგ ისევ დაბრუნდება ვახტანგი. ლევანი დაფიქრებული დგას.) რამ დაგაფიქრა ლევან?

ლევ. ნუ თუ ელეონორა ლეკმა უნდა ჩაიგდოს ხელში!

ვახტ. მანამდინ მათ დღეს გაუშავებ.

ლევ. (გმირულად) ჩემი სისხლი უკანასკნელ წვეთამდე ელეონორას სანაცვლოდ იყვეს, ოღონდ ის ჩვენს იქით ნუ წავა.

ვახტ. გამოიჩინე, ლევან, ვაჟკაცობა. სულ ერთია მთის არწივი უსისხლოდ არ მოგვშორდება. აი, იმ მთის მაღლობიდან უნდა დავინახოთ მისი მიწაზე გაგორებული თავი.

ლევ. ყველანი რომ ამოსწყვიტოს, უკანასკნელი მე გავგმირავ მის გულს და ელეონორას კი არ დავანებებ (ამ დროს შემოდის ელეონორა: არა ჩვეულებრივი, გაფიფორებული სახე აქვს, სივიცეში იცქირება. შემოსვლის დროს შეტოკტომანდება, ვახტანგი მივა და გულზე მიიყრდნობს. ლევანი მიაჩერდება)

ვახტ (პაუზა) როგორი სახით გამოიყურები, შვილო?! არ დაგეძინა?

ელეონ. (ბუზანმა) წამეძინა და საშინელი სიზმარი ვნახე მამა! (ჩაეკვრება გულში).

ვახტ. მითხარი, შვილ, რამ დაგიფრთხო მოსვენება?

ელეონ. (წერტილს მიაჩერდება) მარტო ვიყავი... შუაგულ ტყეში... არავინ იყო, მოულოდნელად (წამოვარდება. ფანჯარასთან მიდის) აი იმ კლდიდან ჩვენს საზღვრებთან შავი ფროებიანი არწივი გადმოფრინდა... დამავლო ბასრი კლანჭები და გამიტაცა... კლანჭები გულში ჩამასო... არავინ იყო; მარტო, სულ მარტო ვიყავი...

ვახტ. ჩვენ შენთან ვართ, შვილო.

ელეონ. მაშინ არ იყავი, მამა! (გაშეშდება)

ვახტ. რა არის, შვილო?..

ელეონ. არწივს თავი კაცისა ქონდა და მერე იცი ვის ემგზავსებოდა?

ვახტ. ვის, შვილო?

ელეონ. ასლან გირეის... (მიუბრუნდება მამას) იქ მთის მწვერვალზე ამიყვანა და ალერსით მითხრა: ხომ დაგიმორჩილეო კლანჭების მაგივრად ხელები გაჩნდა. სრულიად ადამიანის სახე მიიღო, მამა. მე მახსოვს მან მითხრა: „ხომ დაგიმორჩილეო“. მე ეს სიტყვები ვერ ავი-

ტანე, მინდოდა მაღლა კლდიდან ვადმოვარდნილიყავი. მაგრამ თითქოს სიკვდილის შემ,შინდაო და ვერ გავბედე... მერე...

ვახტ. მერე რა მოხდა, შვილო?

ელეონ. მე ის არ მივიკარე ახლოს და ისევ ფრთები შეისხა, არწივად იქცა, გაფრინდა. აი, იქ ხედავ, მამა, მაღალი მთის წვეტი, რომ არის მასზე გულით დაენარცხა და მთელი მიდამო მისი სისხლით შეიღება (ათრთოლდება) მერე მოვიდა ვიღაც...(ლევანს მიაჩერდება) ამასა გავდა... ამას!..

ლევ. ელეონორა!

ელეონ. და მოიდან ვადმომაგდო. სისხლში ვიხჩვებოდი. (მიეკვრება მამას) ვერავინ დამიხსნა, არავინ იყო.

ვახტ. დამშვიდდი, ჩემო მშვენიერო, ყველაფერი ჩვეულებრივი არის. ნუ შფოთავ! სუსტათა ხარ? ეგ სიზმარი რამოდენიმედ სინამდვილის ანარეკლია.

ელეონ. როგორ სინამდვილის?!

ვახტ. ეხლა ჩემთან ლეკი იყო.

ელეონ. ლეკი?!

ვახტ. ჰო, შვილო!

ელეონ. (აღელდება, მაგრ მ რაღაც შინაგანი ცვლილება ემჩნეცა) რა უყოთ, რომ იყო? შენთან ლეკები მუდამ დადიან.

ვახტ. არა, გაიგე რათ იყო!

ელეონ. უთუოდ სასყიდელი ეძენებოდა რაიმე.

ვახტ. არა!

ელეონ. ჰე... რაში მეკითხება, მამავ, ვინ ან რისთვის იყო?

ვახტ არა, გამიგონე ერთი და...

ელეონ. რა უნდოდა?

ვახტ. შენ გთხოულობდა.

ელეონ. (აენთება, თვალები ვაუბრწყინდება, მაგრამ ისევ ისევ იცვლება, არ სჯერა) რა სთქვი, მამავ?

ვახტ. შენ გთხოულობდენ მეთქი! (სიჩუმეა).

ელეონ. ვისთვის? (მიაჩერდება მამას).

ვახტ. კიდეც ეგ არის, რომ ვისთვის! ასლან გირეისთვის.

ელეონ. (ამ სახელის გაგონებაზე აირევა, ხელებს თვალებზე მიიფარებს, ვერ მშვიდდება, აუარდება ტირილი მისდა უნებურად).

ვახტ. (არ იცის რას მიაწეროს ელეონორას ტირილი, ვერ გარკვეულა, არ იცის რა ქნას. პაუზა). რა მოგვიდა, შვილო? შენ შემოგეელოს ჩემი თავი!.. რასა სტირი? ლეკზე როგორ გაგათხოვებ.

ელეონ. (ერთბაშად თვალებს მოიწმენდს, წელში გასწორდება და მტკიცე, ამაყ გამომეტყველებას მიიღებს) ჩემთვის ნუ სწუხარ, მამავ,—მერე რა პასუხი მიეცი?

ვახტ. რა პასუხს მივცემდი!.. უარი შეუთვალე.

ელეონ. (სიხარულით, მხოლოდ მერე უფრო სიმშვიდით) უარი?

ვახტ. მა რა გეგონა, შვილო? ვიღაც ლეკს მიგათხოვებდი და სულით-ხორცით დაგკარგავდი?

ელეონ. კარგი, ძალიან კარგი გიქნია...

ვახტ. აოა, ნეტავი იცოდე რითი მაშინებდა!

ელეონ. რითი?

ვახტ. მოტაცებით.

ელეონ. ოჰო!.. მაგას კი, ვნახავთ.

ვახტ. რას ვნახავთ, შვილო? თუ მართლა მოსვლა გაბედეს, ისე გაუხდი საქმეს, რომ თავის ბედს თვითონ იწყეველიდეს.

ელეონ. ომს გაუმართავ?

ვახტ. ომს კი არა ცას დავსცემ თავზე (ელეონორა დაფიქრდება) ლევან, ამ დროს მარჯვენა ხელად შენ მეყოლები.

ლევ. მიგულეთ უერთგულეს მონად.

ვახტ. წავიდეთ, თავდარიგს შეუდგეთ. (ლევანი და ვახტანგი გადიან. ელეონორა კიდევ დიდხანს დგას; გარინდებული სახე ხან ვესლიანად დამანჭება; გული ულელავს, ზოგჯერ თვალებს სიამოვნებით ავლებს ირგვლივ; ზოგჯერ მოუთმენლად ფანჯარაში იცქირება, მიაშტერდება სივრცეს, მაღალ მთებს უცქერს).

ელეონ. მაშ შენც მოგხვედრია გულში ისარი? ეხლა კი მე ვიცი, ვიცი როგორ გადაგიხდია ჩემი შეურაცყოფისათვის. შენგან მოყენებულ შეურაცყოფას და ჩემს გულში ჩანერგილ სიყვარულს გესლად გარდავქმნი, სიზმარში ნახულს სინამდვილეში გადმოვიტან და იმ მთის მწვერვალს შევლებავ შენი სისხლით. (ელეონორა თითქმის გარდაიმქნაო. სახეს შეცვლის, მხიარული აღფრთოვანებას ელფერი გადაეკრება; მის მოძრაობაში ამ წუთების შემდეგ სიმკვირცხლე, სიფიზიზლე მოსჩანს; დაეტყობა, რომ შურის ძიების ალმა განკურნა, მისი სევდიანი გული. იცინის, უნდა ყოველ საგანს აგრძნობინოს თვისი სიხარული. ამ დროს შემოდის ლევანი ელეონორა მხიარული სახით გასწევს მისკენ. ლევანს ეს მოვლენა ვერ აუხსნია, დაიბნევა; სახეზე ღიმი ეადაეკრება, ელეონორას ასეთს მოპყრობას ბედნიერებათ ჩასთვლის. პაუზა).

ელეონ. ლევან, ჩემს სილამაზეს შენც ხომ ეყოლები ფარად?

ლევ. (ხმის შეცვლით და სიხარულით) შენთვის სიცოცხლეს გავწირავ.

ელეონ. მაშ ამ გრძნობამ, როგოროც შენ ისე ყველა ჩემი სილამაზის თაყვანის მცემლები, ვეფხად, აფთრად გადაგაქციოთ, მე მინდა იმ მთის მწვერვალიდან ფრთებ დამსხვრეული მთის არწივი ჩემს წინ სასიკვდილოდ განერთხოს; მე მინდა მისი ძახილი უკანასკნელად გაიმმას მთაგორათ შორის; მე მინდა მისი თვალები დაიხუჭოს და მისი გული ჩვენი ხმალით შუაზე გაიპოს; მე... არა... ჩემს სილამაზეს მას არ წავაბილწვინებთ. ლევან! იმის სამყოფი ბუდე უნდა დაინგრეს.

ლევ. (აღფრთოვანებული) მშვენიერო ელეონორა, სანამ ,ს ცეცხლისებური მგზნებარე თვალები ჩვენ წინ იქნება, თუ შენი წარმტაცი სილამაზე ღიმილს არ მოგვაკლებს, მაშინ ლეკები შენს ფეხქვეშ უსულონი გაირთხვიან. მე ეხლა ჩვენს გმირებს შევატყობინებ, რომ შენს ირგვლივ შემოიკრიბონ; მე მწამს ისინი შენს თავს არვის დაანებებენ.

ელეონ. მაშ ამ დიდი დღის აღსანიშნავად დიდი ლხინი უნდა გავმართოთ. ბრძოლის წინ მე მინდა ვიკისკისო, ვითამაშო, ვიცეკვაო, გავხდე არაჩვეულებრივი მხიარული.

ლევ. მე ეხლა თქვენი ღიმილით უჩვეულო ძალა ვიგრძენი. მთიელ ვაჟკაცთ ფეხზე დავაყენებ, დაგანახვებ, ელეონორა, ერთხელ შენის სილამაზით დამონავებულს, როგორ ცოდნია მონურად მორჩილება, მაგრამ მეორედ შენივე ძალით ახლად გარდაქმნილს, მე ეხლა იმდენ ძალასა ვგრძნობ, ასე მგონია, თუ დადგება წუთი, განთქმულ ვაჟკაცს მთის არწივად წოდებულ ასლან გირეის, მარტო მე გამოვწევე ხმალში და თუ მოვკვდები, ამაშიც ბედნიერებას ვპოვებ.

ელეონ. ვაქებ შენს გამბედაობას. მე მაგას დამიჭ-ტკიცებთ.

ლევ. თუ მტერმა შენზე გაიმარჯვა, მე მაინც ცოცხლებში არ ვიქნები.

ელეონ. მაშ იჩქარე, ნუ აგვიანებ. მე აქედან მეჩვენება, რომ იქ მთის არწივი ფრთებს ისწორებს.

ლევ. ჩვენ მას დაუმსხვრევთ. (საჩქაროდ გადის).

ელეონ. მაშ ასე, დარწმუნდი ასლან გიორგ, რომ ელეონორას შეუძლია შეურაცყოფილ თავმოყვარეობის აღდგენა და შურის ძიება. მთის ვაჟკაცთა მამულიშვილურ სიყვარულს მე ჩემს შურის ძიებას დაუკავშირებ და ასე სისხლში გავვან შენს ლამაზ სახეს. (შემოდის ვახტანგი).

ვახტ. ეხლა თუ გინდ მთელი ლეკეთი მოვიდეს! მთელი სოფელი ფეხზე დგება, ჩემს ოჯახს ფეხქვეშ არავის გაათელვინებენ.

ელეონ. ყველა ერთად, არა? (ისმის გარეედან სიმღერა).

ვახტ. სიმღერით გროვდებიან.

ელეონ. (სიმღერას გატაცებით ისმენს) ამ ხმით დაე დარწმუნდეს ასლან გიორგი, რომ ელეონორას ვერ შეურაცყოფენ. ხომ ძლიერი ვართ, მამა! (გულზე მიეკვრება).

ვახტ. მთის ხალხის ეს სიმღერა ჩვენი ერთგულობისა და გამარჯვების თავდებია.

ელეონ. (თითქოს ოცნებით) და მისი სისხლით შეღებება კლდეთა მწვერვალები, არა?

ვახტ. ღილის რიერაკი მას ბნელად მოევლინება.

ელეონ (გაფითრებული, ათრთოლებული) მამა!!.. (მოშორდება და კედელს აღეწილი სახით მიეკვრება)

ვახტ. (გაკვირვებული, იმავე ადგილზე გაჩერებული). რა მოგივიდა, შვილო?

ელეონ. (ბუტბუტით იმეორებს) ღილის რიყრ...

ფ ა რ დ ა **ნ. გერგესელი**

(დასასრული შემდეგ)

პრიტიკა და ბიბლიოგრაფია

აკაკი შანიძე. პროექტი ორთოგრაფიის რეფორმისათვის.

ბ. შანიძის პროექტი დასკვნა არის ამისივე სადისსერტაციო შრომისა, რომელიც უნივერსიტეტს წარუდგინა დოქტორის ხარისხის მისაღებად. დისსერტაცია დიდ შრომას წარმოადგენს: მოყვანილია მრავალი ამონაწერი ძველი მწერლობიდან, განხილულია ქარ. ენის დიალექტები და დასკვნად ამ შრომისა ბ. შანიძე აკანონებს შემდეგს: ს-წერ, ასო ს-ი ქვემდებარის მაჩვენებელია, და ს-წერს, ასო ს-ი დამატების მაჩვენებელიაო.

ს-ისა და ზოგ ზმნაში ჰაეს ხმარება (ჰ-კლავ, ჰ-კლავს) ჯერ ჩვენ დროშიც არ არის გამორკვეული, თუმცა მართლწერის შემოღებასაც ვცდილობთ და გრამატიკული განვითარებაც გვაქვს, ყველა ჩვენგანი ლაპარაკობს დასწერს ისე, როგორც მიჩვეული. და ზოგი ამ მიჩვევისა გამო სრულიად უარჰყოფს ამ ასოებს, როგორც ზედმეტს და შეუგნებელს, მეტადრე დასავლეთ საქართველოში; ზოგი კი იქაცა ხმარობს. საცა ეს ასოები სრულიად საჭირონი არ არიან. იმერელი ამბობს: ისა წერს, ჰამს, კერავს; ქართლელი—ს-წერს, ს-ჰამს, ჰ-კერავს; ქიზიყელი ერთსა და იმავე სიტყვას „მო-ს-დის“ ხმარობს ორ სხვადა-სხვა ფრაზაში: სტუმარი მო-დის და ამ კაცს სტუმარი მო-ს-დის. საკმარისად მომზადებულნი და ენის მცოდნენი ჰბეჭდავდნენ გ. ქაოთველიშვილის გამოცემულ ვეფხისტყაოსანს, მაგრამ იქაცა ნახვეთ უწესოდ ხმარებულ ჰ-ეს: მეფემან იხმნა ფეზირნი, თვით ჰ ზის ლაღი და წყნარია.

თუ ასეა დღევანდელ ჩვენს მწერლობაში, რა უნდა ყოფილიყო ძველად? ძველს მწერლობაში იგივე და უფრო უდიდესი უწესურება სუფევდა ამ ასოების ხმარებაში და ამონაწერ (კიტატებით დასკვნა, რომ ერთსა და იმავე ზმნის მეორე პირში ასო ს-ი ქვემდებარეა და მესამეში კი დამატებაო, ჯერ დამტკიცებულად ვერ ჩაითვლება.

ქართული ზმნა ზოგი მდგომარეობითია (ვზივაო). ზოგი მოქმედებითი (ვწერავ). პირველს არავითარი დამატება არა აქვს და ისეთივე უოვლილება აქვს, როგორიც ევროპ. ენების ზმნას: ვზივარ, ზიხარ, ზის, ვტრიალებ, ტრიალებ, ტრიალებს. მეორე კი დამატებას მოითხოვს — ვწერავ ვის? ქვემოდებარე ზმნაში ნაჩვენებია პირველი პირის ასოთი ვდა ზმნის დამოლოგებით. ვ-ბარ-ავ, ბარავ, ბარავ-ს; ვ-ზი-ვარ, ზი-ხარ, ზი-არს — ზი-ს, და ამიტომ სრულიად მეტია ქვემდებარის თქმა, ან მის ზმნაში ჩართვა, მაგრამ, როდესაც ზმნა დამატებას მოითხოვს, ეს დამატება ცალკეე აღარ იფქმის, რადგან უკვე შედუღებულია თვით ზმნასთან და დღეს დამატების ნაშთილა გვაქვს ასოები: მ — მე, გ — შენ, ს — ,, ,, ,,

ჩემი დასკვნა: ს-ი და იმის მაგიერი ჰ-ე დამატების ბაჩვენებულია და, როგორც დამატების ნაშთი, იხმარება მოქმედებითი ზმნის ფორმებშ; მდგომარეობითი ზმნა დამატებას არ მოითხოვს და არც ამ ასოებს მიმართავს. ეს პირდაპირი, ლოგიკური შედეგია ქართ. ზმნის შემადგენლობისა, მარტივი, ადვილად შესაგნები და მართლწერაში ადვილად შემოსაღები.

მიღებულია აგრეთვე ბ. შანიძის კლასიფიკაცია დამატებიან ზმნებისა.

ცალკე ათავსებს ზმნებს, რომელთაც დამატება საბელობითი ბრუნვითა აქვთ—გაჭყიდა იგი

და ცალკე ზმნებს, რომელთაც დამატება მიცემითი ბრუნვითა აქვთ—მიჰყიდა იგი მას.

დამატებათა მიხედვით უღვლილებათა კლასიფიკაცია ნაძალადევად უნდა ჩაითვალოს, რადგან ყველა ქართული ზმნა დამატებას აწმყოში მიცემით ბრ. მოითხოვს და ნამყოსრულში—სახელობით ბრ. (ჰკლავს იმას, მოჰკლა ისი). უღვლილებათა კლასებად დასაწყობად მარტივი ზმნა უნდა ავიღოთ, რომ არც თანდებული ჰქონდეს, არც თავსართი (ვა-ა) და არა გადავხატავ. ან ვიხატავ) და ისე შევისწავლოთ. დამატებათა მიხედვით ერთ ღვლილებაში მოვაქცევთ ზმნას - დასწერა და მეორეში მავე ზმნას, სხვა თანდებულით—მისწერა (იგი იმას); როესაც ზმნა წერა, რაც უნდა თანდებული ჰქონდეს - და, ი, მო, ჩა, გა, გამო, გადა და სხ.—ერთს უღვლილებას მორჩილება, მიუხედავად იმისა, რომ ზოგს მარტო პირდაპირი თავისი დამატება აქვს—ავი, და ზოგს კი პირდაპირი დამატების გარდა მეორეც—მის-წერა იგი იმას. თანდებული მოქმედების მიმართულებასა სცვლის, დაუსრულებელ მოქმედებას (ვლესავ) დასრულებულად ჰქმნის (გავლესავ), მაგრამ ზმნის უღვლილებას კი არა სცვლის.

შეადარეთ სხვადასხვა კლასებში მოქცეულ ზმნების ფორმები და დარწმუნდებით, რომ უღვლილებაში არავითარი განსხვავება არ მოიპოვება:

1 პ. გა-გ-ყიდე, გა-ვ-ყიდე.
მი-გ-ყიდე, მი ვ-ყიდე.
2 პ. გა-მ-ყიდე, გა-ჰ-ყიდე.
მი-მ-ყიდე, მი-ჰ-ყიდე.
3 პ. გა-მ-ყიდა, გა-გ-ყიდა. გა-ჰ-ყიდა.
მი-მ-ყიდა, მი-გ-ყიდა, მი-ჰ ყიდა და სხ.

ი. მაკავარიანი

ქართველ მსახიობთა ყრილობა

პირველი დღე, მაისის 18

მაისის 18 ს ქართულ კლუბის თეატრში შესდგა მსახიობთა პროფესიონალური კავშირის მეოთხე ყრილობა. ყრილობას ესწრებიან, როგორც თბილისში მყოფი ყველა მსახიობნი, ისე პროვინციებიდან ჩამოსულნიც. შუადღის 12 საათზე ყრილობას ხსნის კავშირის რიგმჯდომარე ალ. იმედაშვილი, რომელიც კრებას კანონიერად აცხადებს და სთხოვს კრებას არჩიეულ იქნეს თავმჯდომარე, მისი ამხანაგი და მდივანი. თავმჯდომარედ ირჩევენ კ. ნ. ანდრონიკაშვილს, მის ამხანაგად პლ. კორიშელს და მდივნად ვეჩე ჯიქიას

თავმჯდომარის წინადადებით ყრილობა ფეხზე ადგომით პატივსა სცემს გარდაცვალებულ მსახიობ გ. არადელ იმხნელის ხსოვნას. შემდეგ დღიურ წესრიგის თანახმად ნამდვილ წევრებად კავშირისას ამტკიცებენ შემდეგ პირებს: ან. ქიქოძეს, ელ ციმაკურიძეს, მ. გელოვანს, მ. ჭიაურელს, დ. აწყურელს, ქეთო ანდრონიკაშვილს, ბაბო როსტომაშვილს, ალ. ბადრაძეს და ჭელიძეს. ერთხმად იქნა დამტკიცებული აგრეთვე თანამგრძნობად გომის დასამტკ. წრე. აგრეთვე მიღებულ იქნენ, როგორც ერ წლის სტაჟის არა მქონენი წესდების ძალით თანამგრძნობლად: ვ. ანჯაფარიძე, ალ. ქიქოძე, ძ გამრეკელი, მარო ძნელაძე, ა.ა. ვასაძე, დ. ჩხეიძე. ფეხაიძე, ცინაძე, სარჩიმელიძე, შ. უ. ჩხეიძე, ბოჭორიშვილი, ასკურავა და შ. გომართელი. ალ. გაჩეჩილაძე და დ. ჩხეიძე აკეთებენ მოხსენებებს საბჭოს და სარევიზიო კომისიის სახელით. ალ. წუწუნავა რიგ გარეშე თხოულობს სიტყვას, რომელიც განათლებას სამინისტროს დავალებით, ყრილობას ულოცავს ერთსულოვნობას, ერთად შეკრებას და უსურვებს ნაყოფიერ მუშაობას ეროვნული თეატრის სასარგებლოდ და საკეთილდღეოდ. კრება ტაშის ცემით ეგებება წუწუნავას სიტყვებს. თავმჯდომარე მადლობას უხდის განგ. სამინისტროს და იქიდს გამოთქვამს, რომ მთავრობა მეტის გულის ყურით მოეპყრობა ქართ. თეატრს და ხელს შეუწყობს მის აყვავება აღორძინებას. ამის შემდეგ ყრილობა შეუდგა საბჭოს წარსულ წლის მოღვაწეობის განხილვას. რომლის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა მსახიობთა კავშირის ყრილობაზე მოხსენებები და ანგარიშები, ამტკიცებს ანგარიშებს და საბჭოს უძღვნის მადლობას ნაყოფიერ მუშაობისათვის, და გადადის მორიგ საკითხზე“.

ამის შემდეგ ყრილობა ირჩევს საგანგებო კომისიას სამი კაც-საგან, რომელთაც პრეზიდიუმთან ერთად ევალებათ შეიმუშაონ ტექსტი დეპეშისა მთავრობას თავმჯდომარისადმი გასაგზავნი.

ამით კრება იხურება 3 საათზე.

მეორე დღე, მაისის 19

თავმჯდომარეობს კ. ანდრონიკაშვილი. მდივანი ვეჩე ჯიქია კითხულობს წინა დღის ოქმს, რომელსაც კრება ამტკიცებს. მორიგ საკითხად ისმება ქართული თეატრი და მომავალი სეზონი. თავმჯდომარე მოახსენებს კრებას დღევანდელ ჩვენი თეატრის უნუკეშო მდგომარეობას და მოეწოდებს ყველას, რომ გამოსთქვან თავ-თავიანთი აზრი და მით საშუალება მოგვეცეს საკითხი გავაშქოთო. პირველი წყება ორატორებისა მწუხარებით აღნიშნავენ იმ ყალბ ინფორმაციას, რომელიც სუფევს დღეს საზოგადოებაში: ვითომ ძველებს მოშორებულიყვნენ სცენას და სამაგიერო, ახალგაზდები კი არ სჩანანენ. დიდი ხნ ს კამათია და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ეს ინფორმაცია უსაფუძვლოდ და უსამართლოდ იქნა აღიარებული ყრილობის მიერ. აგრედვე მსახიობები მწუხარეებით აღნიშნავდენ იმ მოვლენას, რო მთავრობა სათანადო ყურადღებით ვერ ეპყრობა ქართ. თეატრსო. დასასრულ მიღებულ იქნა ყრილობის მიერ შემდეგი რეზოლიუცია: ქართ. მსახიობთა პროფ. კავშირის მე 4-ე საერთო ყრილობამ გაითვალისწინა რა, რომ საქართველოს დედა ქალაქში ქართ. თეატრის კარი ამოქოლილია და ლაჯ-გაწყვეტილი ქართ. მსახიობი განუკითხავად განიწირა უსახელო და ხელოვნური სიკვდილის კერძოდ მაშინ, როდესაც მას თავისი უკანასკნელი სიტყვა ვერ

უთქვამს და სავსებით ვერ გადაუშლია თვისი პოტენცია ერისა და დემოკრატიის სამსახურად დაადგინა: „1) უტყუარი და სწორი ცნობანი მიეწოდოს მთავრობას ქართ. მსახიობთა ავ-კარგიანობაზე, 2) ეთხოვოს ცენტრალურ საპროფესიო კავშირთა სეკრეტარიატს, რომ ხმა აღიმაღლოს ქარ. მსახიობის შელახულ უფლებათა აღსადგენად და 3) ეთხოვოს როგორც მთავრობას, ისე ხელოვნების კომისიას და დრამატ. საზ. გამგეობას, რომ შექმნან ისეთი ნორმალური პირობები, რომელნიც აიცდენენ ქართ. თეატრს ხელოვნურ სიკვდილს. უკეთუ ხსენებული პირობები 1 მკათათვემდე არ იქნება შექმნილი, დაევალოს საბჭოს, მოიწვიოს საგანგებო საზოგადო კრება კავშირის წევრებისა, ჩვენი მომავალი მოქმედების გამოსარკვევად.

ამის შემდეგ თავმჯდომარე კითხულობს მომენტის შესაფერ დეპეშის ტექსტს, რომელიც მთავრობის თავმჯდომარეს გაეგზავნა ყრილობის მიერ.

კრება 4 საათზე წყდება და ინიშნება მეორე დღის 12 საათისათვის.

მესამე დღე, მაისის 20.

შუადღის 12 საათზე თავმჯდომარე კრებას გახსნილად აცხადებს. ვ. ჯიქია კითხულობს ოქმს წინა კრებისას. თავმჯდომარე მოახსენებს ყრილობას დელეგაციის ანგარიშს, რომელიც ყრილობის მიერ მთავრობასთან იყო გაგზავნილი. როგორც ირკვევა დელეგაციის ანგარიშებიდან განათლ. მინ. ნ. რამიშვილს აღუთქვამს ყოველივე დახმარება. ამ დღეში საბოლოოდ გამოირკვევა ყველაფერი და თანხა და თეატრიც მოგეცემათო.

ამავე დელეგაციას დაევალა ხვალ წარუდგეს მთავრობის თავ-ეს ქართ. თეატ. პედიღლის გამოსარკვევად.

ყრილობაზე შემოაქვთ წინადადება: თუ მთავრობამ დაგვიანებით მოჰკიდა ხელი ამ საქმეს, დრამატ. საზ. გამგეობას სთხოვოს დაიწყოს წინასწარი მუშაობა: ე. ი. შეადგინოს დასი, იშოვოს პიესა და სხვაო. ამაზე აკ. ფალავა (დრ. საზ. გამგეობის წევრი) უპასუხებს კრებას, რომ ჩვენ გვინდა ამ საქმეს თავით ბოლომდე მთავრობამ მოკიდოს ხელი. ხანგრძლივ კამათის შემდეგ ყრილობამ შემდეგი რეზოლუცია გამოტანა: „მოისმინა რა მთავრობის აზრი, ყრილობას სრულ გარანტიად მიაჩნია ის დაპირებები, რომელიც მთავრობას აღუთქვამს. მანამდე კი საქმის დამწყები და გამძღოლი უნდა იყოს დრ. საზ. გამგეობა, რომელიც დაუყონებლივ უნდა შეუდგეს მუშაობასო“.

შემდეგ ყრილობა ავალებს მომავალ საბჭოს, იბრუნოს მსახიობთა ობლების ფონდის გაძლიერებისათვის და ამას ანავე განსაკუთრებული ყურადღებით მოეკურას გ. ოშხნელის ობლებს.

ამით კრება წყდება 3 საათზედ.

მეოთხე დღე, მაისის 21.

კრება იხსნება 1 საათზედ. თავმჯდომარეობს კ. ანდრონიკაშვილი. მდივანი ჯიქია კითხულობს ოქმს, რომელშაც კრებას შეაქვს ზოგიერთი შესწორებანი და მტკიცდება. ყრილობა ისმენს დელეგაციის მოხსენებას, რომელიც მთავ. თავმჯდომარესთან იყო გაგზავნილი ყრილობის მარ. ნ. ყორდანიას, როგორც სჩანს მოხსენებიდან, აღუთქვამს—თანხა და თეატრი გადაეცემა დრ. საზ. გამგეობას და თქვენ საშუალება გექნებათ თქვენ საყვარელ საქმეს ემსახურითო. ყრილობა ფეხზე ადგომით და „ეაშა“—ს ძახილით ხვდება ყორდანიას ხსენებას და მის დაპირებებს.

ყრ ლობა ერთხმად ანდობს საბჭოს. კოტე მესხის 6 წლის თავი შესაფერისად აღნიშნო 28 მაისს და იშუამდგომლოს, საფაც ჯერ არს, რომ მის ჭირიეს დაენიშნოს პენსია.

აკ ფალავა კრების მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული კავშირის თანამშრომლად ბოლოს იწყება არჩევნები. კავშირის თავმჯდომარედ ასახელებენ შალვა დადიანს და ალ. იმედაშვილს. ფარული კენჭის ყრით თავმჯდომარედ ირჩევენ შალვა დადიანს (მიიღო 25 შავ. და 27 თეთრი). ვინაიდან დანარჩენმა არჩევნებმა დიდი შეხლა შემოხლა და ოპოზიციები გამოიწვია, კრება გადაიდო მეორე დღისათვის.

მეოთხე დღე, მაისის 22.

თავმჯდომარეობს კ. ანდრონიკაშვილი. მდივნობს ვ. ჯიქია, რომლის მიერ წაკითხული ოქმი კრებამ დამტკიცა.

თავმჯდომარე კითხულობს შ. დადიანის წერილს, რომელიც კავშირის თავმჯდომარეობაზე უარს აცხადებს. ყრილობაზე ვინაიდან არჩევნებმა მწვავე ხასიათი მიიღო, არჩეულ იქნა კომისია 5 კაცისაგან, რომელთან შეთანხმებითი ჯგუფებთან წარმოადგინეს შემდეგი პირნი: თავმჯდომაოედ კონ. ანდრონიკაშვილი, საბჭოს წევრებად: გ. ყიფშიძე, ალ. იმედაშვილი, დ. ჩხეიძე, ალ. ბადოიძე, ძნელაძე და გაჩეჩილაძე. კრებამ ერთხმად მიიღო ეს პირნი არჩეულ იქნენ აგრეთვე სარეკიზიო კომისიის და სასამართლოს წევრები. ყრილობა შ. საფაროვის სასარგებლოდ მისი 35 წ. მოღვაწეობის გამო სდებს 5. 000 მანეთს.

ამით ყრილობა თავდება 5 საათზე.

დასასრული ყრილობის წევრნი მადლობას უძღვნიან კონ ანდრონიკაშვილს და ვეჩე ჯიქიას, პირველს თავმჯდომარეობისათვის და მეორეს მდივნობისთვის.

მონაწილე.



მოწოდება

ქართველ მსახიობთა კავშირთან დაარსდა სათეატრო მუზეუმი, სადაც განზრახულია შეკრებილ იქნას ძველი ქართულ წარმოდგენა-სალამობების და ლექციების აფიშები, ძველი ხელნაწერი პიესები. დასასურებულ მსახიობთა ძველი სურათები, მათი საბენეფისო საჩოქრები, რომელნიც სხვა სთვის ყოველგვარ საჭიროება-ღირებულებას მოკლებულნი არიან (ეა საერთოდ ყველა თვალს ჩნინ ნივთები და ნაწერები, რომელნიც ცოტათი თუ ბევრათ შეეხებიან ქართ. თეატრის წარსულს. ამგვარათ მსახიობთა კავშირს შეძლება მოეცემა მოაწყოს სათეატრო მუზეუმი. ეალერეია, სადაც დაინტერესებულნი პირნი შესძლებენ ჩვენი თეატრის წარსულის გაცნობა-გადათვალიერებას და შესწავლას.

ამიტომ მოვუწოდებთ ყველას, მოგვაწოდონ ასეთი გამოსადეგი მასალები ქართ. მსახიობთა კავშირის ბინაზე (დამფუძნებელ კრების ქ. № 5.) რომელიც დიდის მადლობით იქნება მიღებული.

საბჭოს თავმჯდომარე **ალ. იმედაშვილი.**

მდივანი **ვეჩე ჯიქია.**